

# სასოფლო-გაზეთი



გაზეთის ფასი:

მაგზავნით ტფილისში	მაგზავნით
და გარეშე ადგილობრივად	3ან.
ქართის წლისა — 4 მან.	— 3
ნახევრის წლისა — 3 —	— 2
სამ-ს თვისა — 1 მ. 50 კ.	— 1 მ.

## მესამე წელიწადი

ბამოლის შაბათობით.

ხელის-მოწერა მიიღება:

თბილისის „სასოფლო-გაზეთის“ რედაქციის კანტარაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, თ. ბებუთაიის სახლში, პოლიციის გვერდით. თბილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ Тифлисѣ, въ конторѣ редакціи „СВѢДСКОЙ ГАЗЕТЫ“, при типографіи Мелникова и К-и.

შველ გვაჩი განცხადებანი სასოფლო-სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოდ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში.

III.

21 თებრვალს 1870 წ.

### შინაარსი:

— რუსეთის ამბები. — შინიდილისოთ ვაჭრობაზე სამეცნიერო ნაწილი: — მიწის ისტორია, ანუ გეოლოგია. — საქემო ცნობები: — იმერეთის ავთო-მეოლოგია და მათი ვაღენა ერის სირთულეზე. — სამეურნეო ცნობანი: — მიწის მოარწყვა და დაწერვა პეტერსენისებრათ. — მოძღვრება. — სახა-ზინო გაცხადება: — საქალაქო ტაქტიკა. — საბი-ბლიოგრაფიო ცნობა. — ძერძობითი განცხადება.

### რუსეთის ამბები.

რუსული მოხელობის და ვაჭრობის ხელის გამწყობი საზოგადოება რომ არის, იმის კამიტეტში რაევსკიმ ილაპარაკა ისეთს საგანზე, რომლის ასრულება დიდს სარგებლობას მოსცემდა როგორც რუსეთს, აგრეთვე ძველსონის მხარესაც. უფალმა რაევსკიმ ილაპარაკა ბამბის გემენებაზე ძველსონში და შირიშიში.

\* \*

უწინ რუსეთში იმდენი არ იხარჯებოდა ამერიკის ბამბა, როგორც ახლა. თუთხმეტის წლის წინათ ამერიკიდან ერთ მილიონ ნახევარს ფუის ბამბას თუ იხარებდენ, მეტს არა რუსეთში. მაშინ ფუთი ღირდა შეიდ მანეთად, ახლა ორი მილიონი ორასი ათასი ფუთი მართო ამერიკიდან მოაქეთ და ნახევარი მილიონი ფუთი აზიიდან. ამ ქამდ ერთი ფუთი ბამბა ღირს თუთხმეტ მანეთად, ასე რომ ახლანდელს ფასზე რომ ეიანგარიშოთ ოცდა ცამეტს მილიონ მანეთს შეადგენს. ამისთანა დიდმა ხარჯმა აფიქრებინა რუსებს ბამბის გემენება სამხრეთის მხარეებისაკენ. სხვათა შორის რაევსკიმაც სცადა ბამბის მოყენა და მართლაც კი ნაყოფი ჰქონდა

იმის შრომას. ის იბარებს ხოლმე საუკეთესო ბამბის თესლს ამერიკიდან. იმისი ბამბა ამერიკულს არა ფრით არ ერჩივდა. იმან რომ ბამბის ნიმუშები წარადგინა მოსკოვის ხელოვნურ გამოფენაზე, იმისთვის დიდი ოქროს მედალი მიიღო საჩუქრათ.

\* \*

რაევსკის აზრით ძველსონში თუ ცუდი გვარის ბამბა მოდის, იმისთვის მოდის, რომ მოვლა არ იციან: ცუდი გვარის ბამბას სთესენ, როგორც რიჯია, ისე ვერ მუშაობენ ბამბის ყანებს და ვერც არჩევენ ხეირიანათ. რაევსკიმ თესლიც საუკეთესო გვარის იშოვნა და ქეიში. ის მიწაც გამოარჩია, რომელიც ბამბას ძალიან უხდება. რაიცა შეეხება ბამბის კარგს გარჩევას, ამისთვის საჭირო იყო ბამბის სარჩევი მაშინა დამებარებინა შეროპიღვანო, მაგრამ ისე ცოტა ბამბისთვის, რამდენიც შემოჰყავდა, ზარალი იქნებოდა იმისი მოტანიებაო და ამისგამო ბამბა კარგათ გარჩეული ვერ გამოვიდოდა.

\* \*

პოლუბანოვმა მისწერა ზემოხსენებულს კამიტეტს, რომ ერთმა მოსკოველმა ევაქარმა ძველსონიდან გაიტანაო რუსეთში ბამბა, რომელიც ამერიკის ბამბაზე უარესი არ არისო. ამის გამო ანგლიაში შესდგა კიდევ კამპანია იმ განზრახვით, რომ იყიდონ მიწები ძველსონაში ბამბის მოსაყენათ. ამასთანავე ერთმა წყერთაგანმა თქვა, რომ ეს ახალი ხელობა ჩვენც ისეთს სარგებლობას მოგვცემს, როგორსაც აძლევს ინდოეთი ანგლიასო. ამ

შეიდი წლის წინათ ინდოეთიდან გამოჰქონდა ნახევარი მილიონი ფუთი, ახლა კი თორმეტი მილიონი ფუთი გამოაქვს ყოველ წლებით. რაევსკიმ ურჩია საზოგადოებას, რომ შეადგინოს კარგი დარიგების წიგნი ბამბის მოყენაზე და იმის დაბეჭდვას მე ვითაებო.

### შინიდილისოთ ვაჭრობაზე.

ძაცს არაფერი ისე არ წახანდენს, როგორც პირის გატეხა რამე საქმეში; ის მოკლებულია თავის მეზობლების შემწეობას, ამიტომ რომ ყველას ეშინია იმისი დალატობისა. მართი პირის უქონლობა ოჯახს დასუსტებს, ძმებს ერთმანეთზე დაამტრებს, მეზობლებს ერთმანეთთან წაჰკიდებს, ხალხში ერთობას აშლის და სხვა და სხვა გვარის ხალხებში ნდობას წახანდენს. ჩვენ კავკასიელ მცხოვრებლებს ამდენი საუკუნოების უბედურება სულ პირის გატეხით დაგვემართა; მაგრამ აქამდის კიდევ ვერ ჩაგზვდით გონებას. წარსულმა უბედურებამ იმდენი ჭკუა ვერ შეგვკარებინა, რომ ამ ბოლოს მიინც შეგვეტყუა, პირიანობისთანა ძვირფასო არა არისრა ქვეყანაზე, როგორც თითოეული კაცისათვის, ისე მთელი ხალხისათვის.

\* \*

ახლანდელს დროში ევაჭრობისა და აღტამიკეობისთანა არა აძლიერებს რა კაცს; ჩვენ ქვეყანაში მაინც; და ამ საქმეში პირიანობის გატეხა პირველი დამღუპველია როგორც ერთი მოვაჭრისა; ისე მთელი მოვაჭრე ხალხისათვისც.

მაგრამ აქაც უპირობა ძირს უთხროს ჩვენს კეთილ დღეობას.

\* \*

აი, ამის მაგალითი: უკანასკნელ წელიწადებში მოსკოვის მოხელეობის მქაჩრხანებმა შენიშნეს, რომ ძავეასიიდან მოტანილ ენდროში ურეცია თიხა, ქვები, ჯოხები და სხე. ამისთანა უპატროსნო ვაჭრობას ის ბოლო ექნება, რომ ერთხელვე სახელი გაუტყდება ძავეასიიდან გატანილს საქონელს და ან სრულებით აღარაიენ დაუწყებს ყიდვას, რომელიც კიდევ უფრო გავალარტაკვს, უმისოთაც ვალარტაკვებულდებს, ან თუ იყიდან, ძალიან ცოტა ფასათ იყიდან, რადგან, რაც უნდა კვი საქონელი გაიტანო უცხო ქვეყანაში, მინც ექვი ექნებათ იმის სივარგისეზე.

\* \*

ძავეასიის აბრეშუმსაც ხომ ასე მოუყვია მოსკოვში: მოსკოველიმა ვაჭრებმა შენიშნეს, რომ ძავეასიიდან მოტანილს აბრეშუმში არამტოუ მრავალ ნაირი ბალაბურთო, ნამჯა იყო გარეული, არამედ მიწასაც არ აკლებდენ შიგადა-შიგ. ამას გარდა რაც აბრეშუმი იყო, ისიც სამგლოთ ნაკეთები. აბა რა გიგი იქნებოდნენ მოსკოველი ვაჭრები, ტყულოთ ფულდებს რათ გადაყრიდენ და აძის გამო ჩვენებური აბრეშუმის ფასი ასე დაეცა, რომ აღარაიენ სდომულობდა და ყველა ვაჭრები იტალიელ აბრეშუმის ყიდულდდენ; ჩინეთიდან და ბუხაროიდან მოტანილს აბრეშუმსაც ძალიან ედებოდდენ.

\* \*

ხელმწიფის მოლარეთ უბუცესმა შეატყობინა ჩვენს მთავარ-მართველს, რომ მოსკოველი ვაჭრები სჩივიანო, კავასიელი ვაჭრები უკანონოთ იქცევიანო, საქონელში ბალაბურდოს ურევენ და ზარალს ვეძლევენო. დიდმა მთავარმა ძავეასიის ნამესტრიმაც გასცა ბძანება ამ ჭმად, რომ ძავეასიის გუბერნიის უფროსებმა თელო-ყური დიპტორან ყველა ენდროსა და აბრეშუმის მოვაჭრებზე, გამოუცხადონ იმათ, რომ ამ ნაირი უპატროსნო ვაჭრობა ძალიან დასცემს საზოგადოთ ძავეასიის ვაჭრობას და თუ კიდევ ამისთანა მოტყუება და უპირობა იხმარეს ძავეასიის ვაჭრებმა, რუსეთში აღარაიენ იყიდის იმათ საქონელს.

\* \*

ძავეასიის ნამესტრიც იმედი აქვს, რომ ზოგიერთი უსინდისო ვაჭრების წყალობით გეტნილი სახელი ისევ გაეთდება, თუ საზოგადოთ ყველა ვაჭრები და მოხელე კაცები გამაძლიანებულნი იქნებან და რიგან თელო-ყურს აღდენებენ ამისთანა უსინდისო ვაჭრებსა. აღდებშიცეობა ნდობაზეა დაფუძნებული და არა მოტყუებაზე. თუ ვინცეობა ამიერიდან კიდევ მოხდა ისე უსინდისოთ ვაჭრობა, რომლის მაგალითიც შემოთ მოვიხსენეთ, დამნაშავეებს კანონით დასჯიან და იმათსახელიც გამოცხადებული იქნება.

**ს ა მ ე ტ ე ნ ი რ ო ნ ა წ ი ლ ი .**  
**მიწის ისტორია ანუ გეოლოგია.**

**II**

როგორც შემოთა ესთქეთ, დედა-მიწა იყო დაფარული სრულებით წყლით ზოგიერთ დბალ კუნძულების მეტი. ამისა გამო შესაძლო არ იყო, რომ ქვეყანაზე გაჩენილ იყენენ ისეთი მცენარეები და ცხოველები, რომელნიც ცხოვრებენ მხოლოდ ხმელეთზე.

ამ დროს შესაძლო იყო გაჩენილ იყენენ მხოლოდ წყლის მცენარეები და ცხოველები, პირველად მართლაც ესენი გაჩნდენ.

\* \*

როგორ გაჩნდენ მკითხავს მკითხველი? აი, როგორ გაჩნდენ? ხშირად უნახავს მკითხველს, რომ როცა სტაქანში ანუ ღრამფნკაში დარჩენილა წყალი რამოდენიმე დღის განმავლობაში, ამ წყალში გაჩენილან რალაც მწვანე ძაფეფთ ბალახები, რომელთაც არ აქვს არც ძირი და არც ტოტები, ამ ბალახს ჩვენში უძახიან ლოკობას (ბეწწნარას).

ამასთანავე შეუნიშნავს, რომ თუ რამოდენიმე ხანი დაცლია ამ ლოკობიან წყალს, მაშინ წყრილი მატლები გაჩენილან.

სლოკობა გაჩნდა, როგორც ენახეთ წყლიანს სტაქანში, სავა არ იყო არც ერთი ნამცევი მიწა, მაშასადამე ეს მცენარე არ საქროგბენ მიწაში ფესვით ჩამაგრებას, როგორც სხვა ფესვიანი ბალახები და ხეები.

სი მაგალითი გვიჩვენებს ჩვენ, რომ სადაც წყალია და სინათლე, იქ უთუთო გაჩნდებიან მცენარეები და ცხოველები, რომელნიც არ საქროგბენ სხვა საქმელში გარდა წყლისა და არიან ძალიან დაბალი ხარისხისათვის აგებულებით.

როგორც ხედავ, ჩემო მკითხველო, შესაძლოა, რომ შემო მოყვანილნი ვაჭრები იყენენ ოკენებში მცენარეები და ცხოველები.

სიდევეც ამნაირად გაჩნდენ ისინი (მცენარეები და ცხოველები) დედა-მიწის ზურგზე; ეს მცენარეები იყენენ მიწეში უფრო სრული აგებულების ანუ ოკენებიანი (ასოებიანი) მცენარეების გაჩენისა, რომელნიც საქროგბენ მიწასათვის სარჩენათ. სი პირველი წყლის ბალახი ანუ ლოკობა გაჩნდა სამხინელის სიმრავლით ოკენებში. დროს განმავლობაში ბუნები ლოკობები ხმებოდნენ და ჩამოჯდებოდნენ წყლის ძირს; აქ ეს ლოკობების ნარჩენი ლბებოდა; იქცევიდა მიწათ.

ამ ნაირი შრომით ლოკობამ გააკეთა რამოდენიმე საუკუნოების განმავლობაში ერთი პირი მიწის წყობისა, ანუ ერთი ნამცევი.

\* \*

ახლა როდესაც გაჩნდა ერთი პირი მიწა, შესაძლო იყო გაჩენა ისეთი მცენარეებისა, რომელნიც საქროგბენ მიწასათვის სახლოდ და რომელთაც შეეძლოთ წყალში ცხოვრება.

\* \*

ესეთი მცენარეები კიდევაც გაჩნდენ; ესენი იყენენ წყლის ხავსები, რომელთაც თავის ნარჩენით მოუმატეს მიწის კიდევ ერთი პირი წყობა და მითი შეამზადეს ისა უფრო სრული და უკეთესი აგებულების მქონებელი მცენარეების საზრდელათ.

მაგრამ რაც დრო ვადიდა, ისე მიწამაც დაიწყო ვოლკანების ძალით კუნძულებად ამოწევა ოკენას ზევით. ამ კუნძულებს თან ამოყვენ ის მცენარეები, რომელნიც ცხოვრებდნენ მათე წყლის ქვეშ.

\* \*

სი წყლიდამ ამოსული კუნძულები შრებოდნენ ნელ-ნელა და მისი წყლის მცენარეები ლბებოდნენ და ასუქებდენ კუნძულის ჭობებს (ქეწყოებს). ამ ჭობების (ქეწყოს) გაჩენის შემდეგ გაჩნდენ ჭობის მცენარეებიც; მაგალითად კალამიტები (ლერწმის გვარი მცენარეები). ამ ნაირად მცენარეები გადავიდნენ წყლიდამ ჭობებში.

ბოლოს ეს ჭობებიც დაზრენ და დარჩა უფრო მშრალი მიწა. ახლა, რადგანაც მიწა გვარიანათ დაზრა, შესაძლო იყო გაჩენა კიდევ უფრო მაღალი აგებულების მცენარისა.

ასეთი მცენარეებიც გაჩნდნენ; ესენი იყვნენ გვიმრები.

\* \*

ამ აღწერილამ ენახეთ, რომ ჯერ ზღვაში, როცა არ იყო მიწა, გაჩნდნენ ლოყობები, (ძალიან უბრალო ავებულების მცენარეები); რომელთაც არა აქვსთ თითქმის არც ერთი ორგანო; ამის შემდეგ, როცა მათ თავის დანარჩენით გააკეთეს ერთი პირი მიწის წყობა, მაშინ გაჩნდნენ წყლის მცენარეები, ხავსები, რომელთაც აქვსთ ძირი საქმლის ამოსაწოვად მიწისაგან.

ბოლოს, როცა ხავსმა გაჭაობიანა კუნძულები თავისი ნარჩენით, შემდეგ გაჩნდნენ კალამიტები, რომელთაც აქვს ძირის და ტანის გარდა ფურცლებიცა.

და ბოლოს, როცა კუნძულები დაშრენ უფრო მაშინ გამოჩნდნენ გვიმრები, რომელთაც აქვსთ მომატებული ორგანო ანუ ასოები; ესე იგი ტრატები. ამ უკანასკნელი სიტყვიბიდან შეგვიძლია გამოვიყვანოთ ერთი ძალიან შესანიშნავი ბუნების კანონი: ყოველი დაბალი ანუ უბრალო ავებულების სხეული ჩნდება წინათ, ვიდრე უფრო მაღალი და უფრო სრული ავებულების სხეული; დაბალი ავებულების სხეული არის მშვენიერად მაღალი ავებულების სხეულის გაჩენისა.

შენ არ გეგონოს, ჩემო მკითხველო, რომ მართკა მცენარეები და ცხოველები ემორჩილებიან ამ კანონს, არა, ამ კანონის ძალით მოძიარობს თვითონ კაცობრიობის ცხოვრებაც. მიქვენ რომ გადაშალეთ ისტორია, რომელიმე ხალხისა, ნახავთ, თითქმის ყოველ გვერდზე, რომ თვითონ ისტორია არის გამოხატული ამა კანონისა. ეს კანონი მოქმედებს მიწის გაჩენის აქეთ და იმოქმედებს კიდევ უკუნიითი უკუნიისამდე.

\* \*

აი, რა აზრი აქვს იმ სიტყვებს, რომელთაც ხშირად ხმარობენ ახალი მწერლები.

აქვეა შობილი წარსულისაგან

„ძირის მშობელი მოპოვლისა“.

ლეიბნიცი.

\* \*

რაც ზემოთ ითქვა, იმაზე ექვი ნუ მოგეცემა, მკითხველო, ვითომცის მიღებ-მოღებით ყოფილიყოს წარმოთქმული. ბუნების ისტორია

ასეთი სწავლაა, საცა სწავლული კაცების გონიერებას ყოველივე გამოუკვლევია ღიღის დაკვირვების და დარწმუნების შემდეგ; სანამღიღის ისე არ დარწმუნებულა რამე ქვეშაბრიტებაზე, როგორც თავის ხუთი თითის მყოფობაზე, მანამდის არც ერთი ბუნების წრეში მოქმედი ქვეშაბრიტება არ მიუღია...

\* \*

აი, რა საფუძველზე არის დამყარებული, რაც ზემოთ მოვასხსენეთ.

არაინ ისეთი ადგილები, რომელნიც წყლისაგან ჩამონგრეულნი და იქ მოჩანს ყოველი მიწის ქერქის შინა ავებულება თავიდან ბოლომდის. ამისთანა ადგილებს, რომ დააკვირდეთ, შეატყაბთ, რომ ისინი არიან შემდგარი სხვა და სხვა მიწის წყობებისაგან, ნამკეცებისაგანა. თითოეულს მათგანში ბოვებებიან ისეთი გაქვევებული მცენარეები და ცხოველები, რომელნიც სხვა წყობაებში არ არიან.

სულ ძირს მიწის წყობაში იპოვებიან გაქვევებული, ანუ განაშორებული ხავსები და ლოყობები, რომელთაც ეძახიან ან ტრატები და გრაფიტსა. უბრალოდ დროში აკეთებენ მათგან კარანდაშებს. მეორე წყობაში იპოვებიან გაქვევებული კალამიტები (ღერწმულობა), მას ხვეთი გვიმრები, რომელთაც შერჩენიათ კიდევ ფურცლები.

რაც შეეხება ცხოველებს, ისინი დაბალ ნამკეცებში, წყობაებში არ იპოვებიან, რადგანაც მათ პირველჯერ არ ჰქონდათ ტანში არც სტილი და არც ძვალი; ზევითა წყობაებში იპოვებიან გაქვევებული ლოკოკინები და თევზები, რომელთაც ძელის შავიერად აქვსთ სტილი ტანში.

(შემდეგი იქნება).

დ. ჩ ქ ო ტ უ ა .

1870 წელსა

7 იანვარს

მდესსა.

ს ა ნ ა თ ი ო მ ო ც ნ ო ბ ა ბ ი .

იმერეთის ავთომყოფობანი და იმათი გავლენა ერის სიმრთელეზე. იმერეთში ყველაზე უფრო ბევრი იხოცება ყვავილისაგან, ყვანასაგან (მუცელსაგან), ანთებისაგან და განსაკუთრებით ცხელებისა-

გან, რომელსაც არა სწამლობენ, და სწამენ გამოღვული ავთომყოფი ცოტარ რაიმე კიდევ გაკიდვდეს, ან სხვა რამე ვადამდები ავთომყოფობა შესვდეს, ევლარ უშლდეს და კვდება.

თუმცა ღვლდების დაუღვერობისაგან შეკრებილნი ცნობანი მკედრებზე ვერ არიან ნამდვილათ გამოყვანილნი, მაგრამ ზოგიერთი იმთავანი ძალიან შესანიშნავს შემთხვევას გვიჩვენებს. ამ ცნობებიდან სჩანს, რომ რაც მომკვდარა, იმის მეოთხედი სულ ცხელებით დახოცლან. რამელ წლებშიაც ყვავილი არ ყოფილა გაძლიერებული რაც მაშინ დახოცლია, იმისი მეთედი მაინც კიდევ ყვავილით მომკვდარა; ხოლო ყვანათი (მუცელ-კეთილით) მეექვსედი.

\* \*

ამას გარდა ზამთარ-ზაფხულში, ან გაზაფხულზე და შემოდგომაზე რამდენი იხოცება, იმისი ცოდნაც ძალიან შესანიშნავია. ზამთარში უფრო ცხელებით და სახადით კვდებიან: ას ავთომყოფში ოცდა-თუთხმეტი კაცი, ანთებით ჩვიდმეტი კაცი, სახადითა ჩვიდმეტი. ზაფხულში უფრო ყვავილია ხოლმე მოფენილი: ას კაცში ჰკვდება ოცი. შემოდგომაზე ყვავილით სიკვდილი ძალიან ნაკლებია: ას ავთომყოფში მხოლოდ ათი კვდება, მაგრამ ყვანა (მუცელ-კეთილი) ძალიან უმატებს. ასში ოცდა ხუთი კვდება იმისაგან. სხელებით სიკვდილი ზაფხულში უფრო განმირებულია, ვინამც შემოდგომაზე და გაზაფხულზე, ანთებით და სახადით სიკვდილი ძალიან ნაკლებია ზაფხულს და შემოდგომაზე. თუმცა ზოგიერთების სიტყვით ფადართობით არა უშვეთრა, თუ მუცელ-კეთილად არ ვადეკათო; მაგრამ როგორც ეტყობა ამ ავთომყოფობითა ცხელები იხოცება განსაკუთრებით ბავშვები.

\* \*

მუცელ-კეთილა მაინც საშინელს საქმეს შერება ხოლმე ყოველ წელს დასაქვითის საქართველოში: იმერეთში, სამეგრელოში და ზურაბში, აფხაზეთში უფრო ნაკლებათ არის გავრცელებული; სენეთში მხოლოდ მაშინ მიატანს, როცა ბარშია ძალიან გავრცელებული და გაძლიერებული ეს ავთომყოფობა. ამ ხუთის წლის წინათ მუცელ-კეთილა გაჩნდა სენეთში და საშინელათ დაუთხოხა ხოლო

ხი. სენაგმა ჩაიკრეს კარი თავის გალანთან სახლებში და ერთი თვის განმავლობაში არამც თუ სხვას ვისმე არ უშვებდნენ, თავის ნათესაეებსაც არ იკარებდნენ.

\* \*

ქვეყლით მკლარი ყოველ წლით თითქმის იმდენი უნდა იყოს, რამდენიც ზემოთ არის მოხსენებული. ზოგ წლებში შეიძლება იმაზედაც მეტი იყოს, მაგრამ ზოგს წელიწადს ბევრათ ნაკლებიც არის ხოლმე, ასე რომ საშუალო გამომავალში მინც იმდენაზე დადგება. ძველათ მიუცილებლათ ბევრათ მეტი თუ იქნებოდნენ, თორემ იმაზე ნაკლები მცხოვრებნი, რაც ახლა არიან, აღარ იქნებოდნენ. ისტორიით ვიცით, რომ ძველიდგანვე საბერძნეთით და სხვა ქვეყნებით მოდიოდნენ ერნი და რიონის პირათ ესახლებოდნენ; აქედგან კი არსად არ გასულან. მას რა მიზეზია, რომ თუ მოუკლია, თორემ მცხოვრებლებს არა მოუმტინა რა. ამის მიზეზი სწორეთ არა საშინელი გადამდები ავთმყოფობები უნდა იყოს, რომელნიც ასე უწყალობთ ხოცვენ წასავლეთის საქართველოს ერსა. ჯერ ახლაც რომ ყვეილის აჭრა იციან და ათ ავთმყოფზე ერთი მაინც კვდება, რა უნდა ყოფილიყო უწინ, როცა ყვეილის აჭრა სრულებითაც არ გავგონათ, რა იყო.

\* \*

იმერეთში მკვე და გოგირდის წყლებს ძალიან ედებოან, მართლაც ეს წყლები ღიღს შვლავათს აძლევენ სხვა და სხვა სატიკერაანებს. იქ ძველიდგანვე შეუტყვიათ მქურნაღი თვისება ამა წყლებისა და საცა ისინი გამოდიან ზოგ ალაგას ახლაც ეტყობა ძველი შერობების ნანგრევები.

\* \*

ჭანტუხოვი ამბობს, რომ ამ ხუთის წლის წინათ მთელს წასავლეთის საქართველოში რაც წყლები იცოდნენ, სულ ოცდა ცხრას მეთი არ იყო. ახლა საკუთრათ ქუთაისის გუბერნიამ ვიცი ორმოცდა ორი: აბხაზეთში და სამეგრელოში მხოლოდ რვა. ადგილის მცხოვრებლები ნახევარზე თუ დადიან, მცტზე არა. ამ წყლებში ყველაზე ნაქები აი ესენი არიან: აბხაზეთში გოგირდის თბილი წყლი; ნაქალაქეის მარილიანი წყლი, კარგა თბილია, (სამეგრელოში); უწერისა და გლოლის წყლები, რაჭაში; ქუთაისის გუბერნიამ ზეკარის და იზრითის გოგირდის თბილი წყლები,

ბი, აგრეთვე წყალტუბის მარილიანი წყლები. იენისში და ივლისში ბევრი მიღის ამ წყლებზე, თან წაიღებენ ხოლმე საცაღოს დარჩებიან ორს სამ კვირას, ზოგნი ერთ თვეზე მეტსაც, იბანებენ და მერე წამოვლენ შინ. ზოგნი ერთ ორ ღღეს მეტსაც არ რჩებიან. ამბობენ ერთი ღღელი მივიდა ზეკარის გოგირდის წყალზე ჩაწვა საღამოს როფში, მთელი ღამე შიგ იყო გამოიძინა და მერე დილას შეჯდა ცხენზე და შინ წვიდა. საზოგადოთ რომ ეთქვით ეს წყლები ძალიან უხდება სხვა და სხვა ავთმყოფებს, განსაკუთრებით იმათ, ვინც ქვეით ან ღღრით ავთმყოფნი არიან; აგრეთვე ვისაც ქარები აქვს.

\* \*

მაგრამ სოფლის ექიმებზე კი ბევრი კარგი არ ითქმის. ბევრი ისეთი ეშმაკები არიან, რომ იციან თავისი მეზობლების უკლანარობა და მოხერხებულათ უთხვლებენ ჯიბებს. როცა ძალიან მოვლილია რაზე გადამდები ავთმყოფობა, მაშინ ამისთანა სოფელი ექიმი ამოწყვეტით აშინებს ხალხს და მასთან ეუბნება: მე ესა-და-ეს წამალი მაქვსო და ვისაც ის ექნება, იმას სახადი არ მიეკარება. რასაკვირველია მოტყუებული სოფელიც იღებს ჯიბიდგან, რაც აქვს, და აძლევს ამ წამლის პატრონს, თუმცა იმისგან არაფერი სარგებლობა არ ეძლევა, გარდა თავის გაღარიბებისა. მითი დიკონი გამოჩნდა რაჭაში, რომელიც ამბობდა, მე თილისის ქვა მაქვსო და ვინაც იყიდის და საქონელს რაჭაზე დააკერებს, იმის საქონელს ჭირი არ მიეკარებაო და, თუ ტანში უდგას, მეზობლის საქონელს გადასდებს ჭირს, თითონ კი არა გაუჭირდებარა. აბხაზეთში ერთი ეშმაკი მოღლა გამოჩნდა, რომელიც უმეტოცებდა ხალხს, რომ ზუსხანი გაჯერებულა თქვენზე და უნდა უქვეითლათ ყველა გაწყვეტოსთო! მე შემძლია ჩემი ლოცვით დაგისხათ და ამისთვის კაცის სულზე ითხოვდა ერთ აბაზსა და ერთს ცხვარს.

\* \*

ზოგჯერ ამისთანა კაცები მოტყუებით ძალიან აენებენ ხოლმე ხალხსა ფულის რთმე. ვის გარდა სხვა რიგათაც. მაგალითად აბხაზეთში როცა ყვეილი მოფენილი იყო, ერთმა მოლამ დაიჩემა ყვეილის აჭრა

ვიცოა; ძროხის ყვეილის მაგვერათ კაცის ყვეილის უჭრიდა, ასე რომ ძალათი ჰყრიდა კაცებს ღღ ბატონებსა და რაც ხალხი დაიხოცა, მგონია უფრო ამ კრუ ექიმის წყალობით დაიხოცა.

\* \*

ძარბაღინში საქონლის ავთმყოფობაზე დიმათ წამლობაზე ბევრი არა სწერია; მაგრამ როდესაც სხვა და სხვა წამლების თვისებაზე ლაპარაკი, მაშინ აქა-იქ არის ხოლმე მოხსენებული ესა და ეს წამალი ამა-და-ამ ავთმყოფობას საქონლისას არჩენს. საქონლის ფეხში სისხლის გაშვება, ყურების გავრა, ენის დაწერვა ხშირად არის ხოლმე მოხსენებული. როცა სისხლის გაშვება ვერა უშველის, მაშინ გოგირდს ან ნიშადურს ასმევენ ხოლმე, თუ ესეც არ მოუხდა, მაშინ დაკვლენ. საქონლის ავთმყოფობა ბევრი წასავლეთის საქართველოში, მაგრამ ყველაზე უფრო გავრცელებული და მოვლილი პეველია, რომელიც ძალიან ხშირად სჭირს ხოლმე ცხერებს, ძროხებს და განსაკუთრებით ღორებს.

\* \*

როგორც ერთი საქონლის ექიმი გლუშკოვსკი ამტკიცებს, იმერეთში თითქმის ყოველ ბებერს ღორს აქვს პეველა შიგნითში ჯივარში (ღიძღში), ფილტვში და გულში როდესაც დაუშვალეო პეველიანი ხორცის გაყიდვა, ან ჭამა; ეჭრებმა ჯივრობა დაწყესო; ზოგიერთ სოფელში საქონელს ეცნახათ, რომ ეგ პეველა არა ჰქონდესო, მაგრამ მაგისთანა ხორცის წყენა ვის გაუგონიათ თუ მაგისი ჭამა დავიშვალეთ, აღარა გვიჭამი რა და ის იქნებაო. პეველით კვდებიან მხოლოდ ცხერებიო, როცა თავში გაუჩნდებათო, მაგრამ ღორებს ევრას უხმენო.

\* \*

ბულის-ტიკვილი და ხურევა ბებერს საქონელსა და ცხენებს ხოცავს იმერეთში. მავთმყოფობა გადმოდის მსამალეთიდგან მაგრამ ადგილობრივაც ემართებათ ცუდის მოვლით. იმერეთში ზამთრისათვის ცოტა საზრდოს იხავენ პირუტყვისათვის, ასე რომ პირუტყვი თითქმის მთელი ზამთარი ნეკრზე გაშვებული, ცოტა საზღო აქვს, შიმშილით ფერდ-მიკრული ცივდება და ემართება ზემოხსენებული ავთმყოფობა. იარაგებს (გარეგანს ქრილობას) იმერეთში კარგათ არჩენენ, განსა



კუთრებით კარგათ იციან გახურებული შინათით დაწყა.

**ს ა მ ე უ რ ნ ო ც ნ ო ბ ა ნ ი.**

მინდერების მორწყვა და დაწრეტა (გაშრობა) პეტერსენისებურათ.

მინდერის ხელობა პეტერსენამ.

სანამდის პეტერსენისაგან მოგონილს მინდერების მორწყვაზე და დაწრეტაზე (გაშრობაზე) ეილაპარაკებდეთ, რიგია მოკლეთ მოაგვიგონოთ, თუ რა ნაირათ რწყაედენ და აშრობდენ მინდერებსა პეტერსენის წინათ. ამ ნაირათ ჩვენ უკეთ დაეფსებთ პეტერსენის შრომას ქვეყნის სასარგებლოთ.

\* \*

როგორც გავგიგონია და გინახავს მინდერების მორწყვა ორ-ნაირია. ერთ ნაირათ წყალს შეუშვებენ კვლებში და ეს წყალი არ ჩერდება, არამედ გადის მილებით, ან რუეებით ან სხვის ყანაში ან მდინარეში. ამას ჰქვია საკუთრათ მორწყვა. ზოგჯერ მინდერებში შეუშვებენ ხოლმე წყალს რუეებით და წყალი გატბორებულია მთელს მინდარში, ამ ნაირათ წყალი გამდგარია მინდრებზე, რამდენიმე დღე და კვირაცა. შემდეგ წყალს დაწრეტენ. ამას ჰქვია ყანების მორღენა.

\* \*

მინდერის მკეთებელი მინცენტი ამბობს შემდეგსა მინდერის რღენაზე: წყლის დაგუბება მინდერებში მართლაც პირველ წლებში ძალიან არგებს ყანებს და კარგი მოსავლიც მოჰყავს, მაგრამ ყანები მალე ჰხდებიან ამითი, რადგან მიწა თან-და-თან ციედება; რამდენათც უფრო ცოტა ყურადღებას აქცევენ მინდერების დაწრეტას და გაშრობას, იმდენათ უფრო ძალიან ჰხდება მიწა წყლის დაგუბებით.

მაშ მინდერების მორღენა წყლით იმითია ცუდი, რომ მიწა თანდათან ციედება, რადგან ძნელია შემდეგ მორღენისა იმისი დაწრეტა და სრულებით გაშრობა. ამას გარდა მინდერის მცენარეობას (ყოველ გეარ ხე-ბალახეულობას) იმდენი ჰაერი აღარა აქვს, რამდენიც საჭიროა; გაჩნდება ხოლმე ცუდი ბალახები და სხე.

თუმცა წყლისგან მოტანილი ლექი მოეფინება მინდარს რღენის შემდეგ, მაგრამ მიწას ეს უფროც ანებს ხოლმე, რადგან ჰაერს

აშრობებს და უხდება მხოლოდ ის წყალი, რომელიც მიწაში აღროს გაიყვენება.

\* \*

საკუთრად მორწყვა ბევრათ სჯობია რღენას ამისთვის, რომ აქ წყალი მირბის კვლებში და გადის დიდ რუეში, აძლევს მიწას იმდენ წყალს რამდენიც საჭიროა და იმდენათ აღარ აციებს, მაგრამ თუ კვლები ზომასზე მტათ დაცემულნი არიან და წყალი მომატებული სიჩქარით სდის, მაშინ მიწას საუკეთესო ნაწილებს ართმევს და ჩააქვს რუეში. ამას გარდა აქაც რაღაც მიწას წყალი გაუჯდება, ის ჰაერს გადენის ხოლმე და არ უშვებს შიგსითბოს. მორწყვის ცუდი აი, ეს არის. საზოგადოთ არც მორწყვას და არც რღენას დიდი წვიმების შემდეგ არ შეუძლიან მიწის ჩქარა გაშრობა და ჰაერის ძლევა იმისთვის.

\* \*

ს ა წ რ ე ტ ი. საწრეტი თავისი დანიშნულებით სრულებით ეწინააღმდეგება რღენას და მორწყვას. პირან ბევრი ტენჯუიანი და ნამიანი ადგილები, საცა წყალს არა აქვს არსით გასავალი, გუბდება მიწაში, აციებს და იმისგან მიწა უფარვისა. ამისთვის საითაც მინდარი უფრო დაცემულია, იქით გათხრიან მიწის ქვეშ პატარა რუებს, გააღლებენ საწრეტე მილებს; ეყენი სუსტანს ატენებენ წყალს მიწიდან ერთ დიდს მილში და იქიდან წყალი მიდის რუეში მინდერის ბოლოს. ამგვარათ მიწის ქვეშ მილებით იწრეტება, რაც მინდარზე ნამი იყო და ამასთანავე საწრეტავს მილებში ჰაერიც დაიწყებს ღენას და აშრობს მინდარს.

\* \*

პირველ წლებში საწრეტავეები საკვირველათ უხდებიან მინდარს. რაც ლექი და საზღო მოუგროვებია შეტბორებულ წყალს ამა მინდარზე და რაც სიცივის გამო არ მოქმედებს ახლა, როცა წყალი წრეტება, მიწას ჰაერი ერევა და თბება ეს სასარგებლო ნაწილები აუფუდებიან და ძალიან ნაყოფიერებას იჩენს დაწრეტალი მინდარი; მაგრამ საწრეტავის ცუდი ეს არის, რომ ის არ აჩერებს იმდენს წყალს, რამდენიც საჭიროა მიწისთვის და მალე ახმობს.

საწრეტავი უწყვიმო გოლივან ამიდებშიაც ართმევს მინდარს სინამეს, მაშინ როდესაც ეს ნამი სასარგებლო იქნებოდა, რომ მიწას არ წართმეოდა. აწაირათ საწრეტავეები მალე

ახმოზენ მიწას და აენებენ იმის ნაყოფიერებას.

\* \*

ამ ჟამად ვერ ეიტყვიტ, რომ საწრეტავების კეთება მინდერებზე საზოგადოთ სასარგებლო იყოს: ზოგჯერ სასარგებლოა, მაგრამ ზოგჯერ ზარალიც მოაქვს. როგორც საზოგადოთ მინდერების მორწყვა, აგრეთვე დაწრეტა მაშინ იქნება მიწის შემუშავების გამოსადეგი, როდესაც იმას შეეძლება ორივე ერთ-ბაშთ მოაწყოს მინდერებზე და როდესაც წყალი საჭიროა მორწყვის ისარგებლოს და როდესაც არა. მაშინ საწრეტავეები უნდა იქნას.

\* \*

პეტერსენის მოგონილი რიგი იმითია კარგი, რომ როგორც მორწყვას, ისე საწრეტავეებს თათავის დროზე ახმარებს და მიწები ამისგამო მტათ ნაყოფიერდებიან.

\* \*

ზემოთა ჩვენ მოვისენეთ, რომ მორწყვა იმითია ცუდი, რომ როდესაც წყალი საკმაოთ გაუჯდება მიწას, ჰაერს აცლის და თან-და-თან აციებს, მერე რიგია, რომ ეს წყალი მოგაშროროთ მიწას და წყალთან ჰაერი და სითბოც ეამუშაოთ, რომ მიწა რიგიანათ აფუედეს და ნაყოფიერება გამოიღოს. ჩვენ ამას ყურადღებას არ აქაივით. საწრეტი კი თუმცა პირველ წლებში უხდება ნოტიო (ქენჯუიანს) მიწებს, მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ როცა წყალი სულ დაწრეტება, მერე საწრეტავეების მეტს სარგებლობას არ აძლევს მოგაჯახს.

პეტერსენის რიგს ის განზრახვა აქვს, რომ საწრეტავს და საწრეტავს გარდასარგებლობისა ზარალის მოცემა არ შეეძლოს.

\* \*

პეტერსენი ამბობს, რომ მართო წყლის შეშვება მინდერებში საკმაო არ არისო, ამიტომ რომ რაკი მიწაში გაიყვენება იმდენი წყალი, რამდენიც მიწას შეუძლიან დაიჭიროს, დანარჩენი წყალი კი სრულებით არ ხედება მიწას, აენებს კიდეც, რადგან იმას გააქვს მიწის მარგებელი ნაწილები მინდერის ბოლოს გაყვანილს რუეში, საცა თეთონ ჩადის: წარმოედგინოთ ბამბა, რომელსაც ასხმენ წყალსა. როდესაც ბამბა გაიტენება წყლით, შემდეგ რამდენიც უნდა ასხა, სრულებით წყალი აღარ ჩერდება ზედ და ისე ჩადის, როგორც სიპ ქვესა. მიწაც სწორეთ ვერა. წყლით გატენის შემდეგ რაც წყალი ჩადის, სულ უნდაყოფოთ

ეკარგება და ამას გარდა ამ წყალს თვის დენაში მიჰქვს მიწიდან მოგლეჯილი ნაწილები და არამცხვს იმას ნაყოფიერობას. პეტერსენი ამბობს „წყალი კვლებში კი არ უნდა გადიოდეს, არამედ როდესაც მინდორში შევადგებენ წყალს, მერე ის უნდა ჩაედინოს მიწაში და მიწის ქვეშ გაეთებულო რუებით უნდა გაშორდეს იმას“. ამ სახით, რაც წყალი ეძლევა მიწას, ყველა გაივლის იმის ზედა პირში, სტოვებს შიგ ყოველ გეარ სასარგებლო ნაწილს. მირი შორდება, რომ თავისი დარჩენილ ალარ აენოს მიწას.

\* \*

ამას გარდა წყალს ბევრი მისთანა ნაწილები აქვს, რომ, როცა მიწაში ჩადის, ხდება ზოგიერთს იმის სასარგებლო ნაწილებს, განსხის და შეასმებს მცენარის ფესვებს და ამ სხით ეხმარება მცენარის ზღას. აი, რას ამბობს ამ საგანზე ტურეტინი, სახელგანთქმული მწერალი მინდვრის განაყოფიერებისა: „როდესაც წყალი ჩადება მიწაში და შემდეგ იწირება, იმის მაგიერათ ჰაერი ჩაუდგება ხოლმე მიწას და ამ დროს თბება მიწა. ეს ისეთ ნაირათ აფუფებს მიწას, რომ საკვირველი ნაყოფიერი ხდება და ყოველ ნაირი ნათესი ერთი ათად იზარებს ხოლმე“.

(შემდეგი იმება).

**მოძღვრება მიორი**

მისთვის, რომ ვინც ფიქვლად ეპყრობა ცხოველთა, იგი ცდიდ ქრისტიანი არის.

წინანდელი მოძღვრება თქვენდამი მე დავასრულე, ძმანო ჩემნო, ესრეთის შენიშენითა: გასურსთ, რომ ცხოველს თქვენი არ ეშინოდეს და გულის მოდგინედ დაგემორჩილებოდესთ და გემსახურებოდეს, მაშ იყავით კეთილნი ქრისტიანენი, ნუ დაივიწყებთ ამას, ძმანო ჩემნო! ჰეშმარიტი ქრისტიანობრივი კეთილმსახურება ყოველისათვის სასარგებლოა, — იტყვის წმინდა მოციქული; რადგან არამც თუ მიგვიყვანს ჩვენ საუკუნო ცხოვრებადის, არამედ ქვეყნიერს ცხოვრებასაცა ჩვენსა განავებს კეთილად, იგი მოგვიცემს ჩვენ სიმშენსა მსუხარებაში და დასაკლისში, და გეასწავლის, რომ წყნარად მოვექცეთ არამც თუ მარტო ერს, არამედ ცხოველსაც. შუალომ სთქვა; ნეტარ-იყენენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმიკვიდრონ ქვეყანა“ (მათ: ე. ე.) ესე იგი სიმშვი-

დე არა—თუ ცათა შინა იქნება მარტო დაჯილდოებული ღვთისაგან, არამედ აქც უფალი აუროთხებს მას ქვეყნიერის საქმის წინაშეც. შეუბრალდებულათ მოატყუე, როგორც ერთა, ისე ცხოველთა წინააღმდეგ არის სახარების სწავლისა. შენიშნეთ ძმანო, სიტყვანი ჩემნი... ტუდი არის ის ქრისტიანი რომელსაც არა აქვს შებრალება ცხოველთა;“ ამში აღილიათ დაერწმუნდებით, როცა განვიხილავთ, რა მიზეზია, კაცი რომ შეუბრალდებულათ მოცპობა ცხოველთა; ამის მიზეზი ჩვერს ჩვენ მიეკუთვნება ყურადღება უთავიერებათ.

თქვენ უმჯეკლად შენიშნავდით, ძმანო, ჩემნო, რომ ყველაზე უფრო ცუდათ ეკიდებიან ისინი, ვისაც ქირით ჰყავთ ჰყვანილი საქონელი. რასათვის? ამისთვის რომ საქონელი მათი არ არის და სხვისაზე გული არ შესტივათ.

შუალი იტყვის: „მწყემსი, რომლისაცა ცხოვარნი არა თვისნი არიან, არ დაეძებს ცხოვართა, ამისთვის რომ სასყიდლით დადგინებული არის“ (იონ. ი. იბ; იგ.). მაგრამ კარგია თუ არა ესე, ან მართლა ამ ნაირათ ეკიდებოდით თუ არა, სხვისი რომ იყოს საქონელი. ტუდი ქრისტიანია ის მუშა, რომელიც არა ზოგავს პატრონის კეთილსა, რადგან კანონი პატრონებისა და სიმათლისა იტყვის ასე: „ყოველი რომელი გინდესთ ქვენ რათა გიყონ კაცთა, ეგრეცა თქვენ ჰყავით მათ და მიმართ:“ (მათ. ზ. აბ). (როგორც თქვენ გასურდესთ, რომ მოგექცენ, თქვენც ისე მოექციეთ სხვებსა). შენ გინდა რომ პატრონმა არ შეგაწყობოს და იყოს მართალი შენთან? მაშ რაც შენზე მოუწოდია იმას, კარგათ შეუნახე. სწავლა ქრისტე მაცხოვრისა მოითხოვს ჩვენგან უმეტეს კეთილსა: „მეიყავრ მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“ — იტყვის შუალი. მაშ დაუთხე მისი კვილი, ვითარცა საკუთარი, და ამის უტყვის მოითხოვს ჩვენგან მაცხოვარი: „და რომელი წარგვიტყუდეს შენ მილიონ ერთ, მიჰვალე მისთანა ორიცა“ (მათ. ე. მა.) ესე იგი გაუკეთე სხვას იმაზე ნამეტანი, რასაც მოითხოვენ შენგან. მაშ თუცა პატრონმა ანუ მასპინძელმა ჩავაბარა შენ თავისნი ცხოველნი, იზრუნე მათთვის კიდევ უმეტესად შენის საკუთრის ცხოველისა, იტ-

ყვი: თვითონ პატრონის ბრუნველია, რომ გასწავლებდნენ თავის მუშებს ცოდნის მოქცევითა. უპატრონებითა და შევიწროებითა. მათ ჰყვლით მუშაკნი შავი ხორცითა, მიხეზს უკრებენ ყოველს უბრალო საქმეზე. როგორ უნდა მოითხოვოთ მუშაკთაგან, რომ შეიბრალდოს ცხოველნი, როდესაც არ იწყალდენ და ამისა იბრალდებენ პატრონს? ესე სამუშაოა, ხშირად, მართალი საჩივარია. მაშინა რეზული მონაზნადხან ვერ ეტყვის პირდაპირ პატრონის მიმართ, მაგრამ პატრონის ჯავრს იმის სწავლასა, რომელსაც პატრონისგან უძის ბრალება არა აქვს, იმას პატრონის ცხოველი შებრალდება არ შეუძლიან. მაგრამ არის ისეთი შეუწყნარებელი მუშაკი, რომელიც ყოველთვის თავის საქონელსაც და სხვისასაც უწყალოთ ექცევა. ამისთანა მუშა არ არის გასამართლებელი, განსაკუთრებით აწმდგომლდროში. ახლა არ არის ის მოგება, რომელიც იყო ძველს დროებაში, მაგალითათ მოციქულების დროს.

აწ ყოველი მუშაკი თავისუფალი არის დნ სტოვოს მასპინძელი, ანუ პატრონი, რომელიც არა მართლად ექცევა მას და საუბრებლდროთ აწ ნამეტნავად იმის საჩივარი მოსამახურის უპატიობაზე და სიზარმაცებებზე ენემდის პატრონების სიფაცხვედ. შიქს მასპინძელი რომ შესვდეს ქირით მოამუშაველს იმას მაშინაც არ შეუძლიან თავის გამართლება ცხოველთა ფიცხელათ მოპყრობისათვის, რასათვის? ამისთვის რომ ის მოვალეა შენსრულდო ყოველს შემთხვევაში ყოველი საქმე ისე, როგორც სინდისი ეუბნება იმას პატრონის წინ ვერ გაბედავს მისი საქონლი ტანჯვასა, სინდისისაებრ ის უნდა ექცოდეს წყნარად ცხოველთა მაშინაც, როდესაც ამს უყურებს მას პატრონი. ნება ღვთისა მოითხოვს, რათამცა ჩვენ არ მივაგებდეთ ბოროტსა ბოროტისათვის, არამედ მივაქცევდეთ კეთილსა ბოროტისათვის (მათ. ე. მგ. მზე). როგორც მიხედ სკოდვენ წინააღმდეგ ნებისა ღვთისა მოსამსახურენი, რომელნიც სტანჯვენ ცხოველთა მისთვის, რომ პატრონი აწუხებენ მათ! მრნი ხშირათ თავის თავს უზმენ ბოროტსა; არ უფრთხილდებიან თავის საკუთარ საქონელსა, როგორათაც არ უფრთხილდებიან თავის ტანის სიზრთელსა, თავის პატრონებასა, თავის შრომის კამეკსა მთერლობისათვის. რა ატანჯინებს პატრონსა და

წყალებინებს თვისთა ცხოველთა უმეტესად ყოვლისა გაუფთხილებელი ნამეტანი სურვილი საშოვარისა, ხშირათ სიზარმავე, დაუდევრებლობა, უზარობა, ხანდისხან გულმოსულობა, განუსჯელობა, უმერება, ხეტობა და უგარნობებლობა გულისა. როგორც ხედავთ, ძმანო ჩემნო, ყოველივე ესე მიზეზნი არ არიან კარგნი, არც გასამართლებელნი. ცხოველი კეთილი შრისტიანი უნდა სჯიდეს ამისთანა საქმეს.

მოგების გულისთვის რომ მომეტებულ სიძიმის აჭიდებ შენს ცენს, შენ გვანა ამითი მეთი მოიგო? ეს ტყუილია. საწყალი ცხოველი გამოსული თავის ღონისაგან ხშირად მოკვდება, მოგების მაგიერად ათი იმდენი მარალი გეძლევა. (შენ კარგავ იმ ღონისძიებას, რასაცა კეთილი ცხოველის შრომა გალევდა.

არ შეიძლება ხანდახან, რომ არ გაიკვიროს დამრბამებულის გონების სიზარმავე და უფლის დამარღვეველნი დაუდევრებლობა. ზოგნი მრავალს სიმძიმეს დააყრიან ზურგზე ცხოველთა; შევალს ღრმა ტალახსა შინა ცენნი, გამოდის თავის ღონისაგან და ჩერდება პატრონი უმოწყალოდ სცემს მას. მოხმდება კი საქმისა ადვილია და უკანასკნელი: უნდა ზარბამადები რამოდენიმე სიმძიმის გაღმარებისათვის, დაასვენე დაღალული ცხოველი, და დარწმუნდები, რომ საქმე წავა უზოგბედად. ნუ ზიარმაცებ შენც, თუ გაუთს, რომ მტერი ცხოველიცა გემსახურებოდეს კარგა და ღირსსა. ეს დაუდევრებლობა ქრისტიანული არ არის.

შეი არ არის, რომ კაცი გონიერი მცოდნე და კეთილი გულისა არ დაუწყებს სასტიკად მოკცევას ცხოველთა. ტანჯვა ანუ წვალება ყოვლისა ცხოველისა, და განსაკუთრებით შინაური საქონლისა ამტიკებს პატრონის უფურებას, უსამართლობას და გულის სიფიცებს.

რაც უნდა ცოტა სინიდისი ჰქონდეს კაცს, მარც ვერ მოიწონებს პირუტყვის ცემას, ამიტომ რომ პირუტყვი ვერ გამოსთქვამს თავის ტანჯვას, სიტყვით თავს ვერ შეგებრალბეს; ვერ გაგრძნობინებს, რომ შენ იმას უწყალოთ ეპყრობი. ჩვენი სიამოვნება ცხოველის ხენჯაზე ყვირილზე, როდესაც ესცემთ, ამტიკებს, რომ ჩვენ მხეცის გული გვაქვს.

არა შებრალება ცხოველთა, რომელნიცა შრომითა თვისითა გზრდის შენ და ყოველსა შენსა ოჯახობასა: ეს უსინდისობაზედაც უმეტესია. მაგრამ, როდესაც გაიფიქრებს, რომ ეს ხშირად არის, ვერც კი გაიგებ რითი ახსნება ეს გულქვაობა და ფიცობა, რომელიცა მოკლავს კაცის გონებაში ყოველს ბრწყინვალე ჰანზის და თითქმის ნიჭსაც რადგან ამისთანა კაცებს ფიქრათაც არ მოსდისთ, თუ რას იქვენ. ამზობენ: სიღარიბე და სიგლახე კაცის გულს აფიცებს და შეუბრალებელათ ჰხდისო. მიმე არის წილი ღარიბისა, მაგრამ მიმე არის წილი იმის მოსამსახურე ცხოველისაცა, ღარიბობით დევნულმა კაცმა არ იცის აღერსიანი სიტყვა, ის არ უჩვენებს მოფერებვას ყოველს ცხოველსაც, უბღვერის სახლობას, რომელსაც იმისი ეშინის და სცემს უბრალოთ თავის პირუტყვსა: სიღარიბე და საქირობეცა, ვება და მწუხარებაც; მრავალი კული მოკიქმდნით ქვეყანასა ზედა! როდენი ერთი ოხრავს თქვენს წვალბებსა ქვეშე! როდენი ცხელი ცრემლი დაღვრილი არს დასაბამიდგან ქვეყანისა... როდესაც ცრემლი აღარ მოგედის, აღარ ვტირით ჩვენის მწუხარებისთვის, ეს სასიკვდინო უბედურებაა, ამიტომ რომ მეტის ტანჯვით გული გრილდება, ხმება ბრმადება და მუნჯდება გონება. ამისთვის უფალი ჩვენი მოწყალე, თავს იღებს მწუხარე ღარიბთათვის: „მოველით ამბობს იგი, ჩემდა ყოველნი მაშვარლნი და ტვირთ მიმინი, და მე განგისვენო. აღიღეთ უღმელი ჩემი თქვენზედა, და ისწავეთ ჩემგან; რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა, და ჰპოვით განსვენება სულთა თქვენთა“ (მათ. ია. კს. კთ.) „შეაღმან თვით ზიდა ჯვარი სიღარიბისა საფლავამიდნ და გვიჩვენა ჩვენ მაგალითით, თუ როგორ უნდა ვსძლოთ საქირობებსა და სიღარიბესა. უნდა ვიყენეთ ყწარნი და მშვიდნი გულითა, როგორც უფალი, რომ თვით საქირობებსა და სიღარიბეს შუა ვიყენეთ მოსვენებული სულითა და ამ მოსვენებაში კი ყოველი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ განთავისუფლდნ იმისაგან, რაც გვაწუხებს, რაც გეტანჯავს ცხოვრებაში. სულის სიმშვიდესთან არაოდეს არ უნდა დავსცხრეთ, რომ როგორმე სულის დამჩაგვრელი გაქირება თაიღან მოვიცილოთ. მაშინ ეს სულის სიმშვიდე არ მოგვეცემს ნებას, რომ

საკუთარი ჯვარი ცხოველზე ამოვიყაროთ ხოლმე იმისი ცემით და წვალბებით...  
 დახსოვნეთ, ძმანო, სიტყვენი უფლისანი... ნეტარ იყენენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალენ: იყენით მოწყალენი არა მხოლოდ კაცთა, არამედ ცხოველთაცა, რადგან თქმულ არს, ნეტარ არს, რომელიცა ცხოველსაცა შეიბრალებს. მაშ არ შეიწყალეს უფალი იმით, ვინც უწყალოთ და გულფიცათ ექცევიან ყველას.

ბლაღოჩ. მღვდელი დავით დამაზიძე.

**სახსოვნო განცხადება.**

მუთაისის გუბერნიის სამმართველომ უფლის სამმართველოში დანიშნა ვაჭრობა 19 მომავალს მარტს ალექსი ზაბაშვილის ვენახის გასასყიდათ, რომელიც დაფასებულია ოცდა თერთმეტ თუმნათ და ორ მანეთათ. ეს მამული ისყიდება სახელმწიფო ვალის თვრამეტი თუმნის და სამი მანეთის გადასახდელათ. მისაც ჰსურს ამა მამულის ყიდვა, ისინი დანაშნულს ვადაზე უნდა გამოცხადნენ მუთაისის უფლის სასამართლოში, სადაც შეუძლიანთ იხილონ ყოველივე აწერილობა რაიცა შეეხება ზემოხსენებულს მამულს.

\* \* \*  
 ჯუმათის მამასახლისმა მოახსენა მსურვეთის უფლის ნაჩაღნიცს, რომ იმა სოფლის საზოგადოების მცხოვრებნი ალექსანდრე ზიორგის ძე ღოღოძე, წავიდოა უბალიეთოდ შოთს და იქიდან საღა წავიდა; იმისი ვერა შევიტყუთარო. მარგანი ნიშნები ანაიჩი აქეს: ოცი წლისა არის, საშუალი ტანისა; პირტიტყელა, ქერა თვალები აქეს და თმა-მოშაო.

მსურვეთის უფლის სასამართლო სთხოვს პოლიციის დაწესებულებათა და სხვა სასამართლოს ადგილთა, თუ სადმე გამოჩნდეს ეს ღოღოძე, გვაუწყოს იმის ადგილ-სადგომიო.

შარციხის სასოფლო საზოგადოებაში ნახეს ჩვიდმეტს იანვარს დაკარგული ძროხა. ნიშნები ანაიჩი აქეს: საშუალი ტანისა არის, ფერათ რუხია; შებლზე, მუცელზე, ორივე უკანა ფეხებზე და კულზე შავი ნიშნები აქეს, როგორც ადგილობრივ მამასახლისს დაუფასებია, რვა მანეთად ღირს.

მსურვეთის უფლის სასამართლო აცხადებს, რომ ეს ძროხა ეისიც არის, მოვიდეს,

დაწერილებით სთქვას იმის ნიშნები და წაიყვანოსო.

ს ა ქ ა ლ ა ქ ო ტ ა ქ ე ა ა  
ჭუთაისში

ჭურჩის პური | კარგისა—ოცა თოთხმეტი კაბ.  
| მდარისა—შვიდი კაბ,  
პურის ფქვილი | კარგისა ფუთი ცხრა აბაზი  
| მდარისა—მანეთ ნახევარი.  
ძერი ფუთი ოთხ აბაზ ნახევარი.  
ჭროხის ხორცი | საუკეთესო ოცა თერამეტი კაბ.  
| კარგი — — — თექვსმეტი კაბ.  
| მდბალი — — — "  
ქამბინის ხორცი | ოცა ღირს სამ შაურათ.  
ცხერის ხორცი |  
და თხისა |

ჭროხის ქანი დაუმდარი — გირვან. ათი კაბ.  
— — — — — გადამდარი — — — — — თორმეტი კაბ.  
ლორის ქანი გირვანქა — — — — — სამშაურათ  
ჭონის სანთელი — — — — — გირვანქა სამშაურათ  
მზობა გადამდარი გირვანქა — ექვს შაურათ,  
გადუმდარი — — — — — ხუთ შაურათ  
ზეთი კაკლისა — — — — — ხუთ შაურათ  
სელის ზეთი — — — — — აბაზათ  
ოღსური ყველი ოცა — — — — — ათ შაურათ  
იმერული ყველი ოცა — — — — — ათ შაურათ.  
ძათამი — — — — — შვიდ შაურათ  
ათი კვერცხი — — — — — ორ შაურათ  
ღომი ბათმანი — — — — — თოთხმეტ შაუ.

მარილი ოცა — — — — —  
ლობია ოცა — — — — —  
მუხუღო — — — — — აბაზათ  
ცურცი — — — — — სამ შაურათ  
ზეთის ხილი გირვანქა — — — — — სამ შაურათ  
საირთი ერთი მანერკა — — — — — ექვს აბაზათ  
ხილის ოტკა — — — — — ოთხ აბაზათ  
პურისა — — — — — ოთხ აბაზათ  
რუტული საპონი გირვანქა — — — — — ცამეტ კაბ.  
— — — — — მთილისისა — — — — — ცამეტ კაბ.  
თევზი ოცა პოლიოსტონისა — — — — — ორი აბაზი  
რინის თევზი ოცა — — — — — ცხრა შაურათ  
წყალწითელასი — — — — — ექვს შაურათ.  
თივა ფუთი — — — — — ათ შაურათ  
სიმინდის ფქვილი — — — — — თოთხმეტ შაურათ

გ ა ზ ე თ ი ს „ღ რ ო მ ბ ი ს“ გ ა მ ო ს ე მ ა მ ა ზ ე  
1870 წ ე ლ ს ა.

ამ 1870 წელს „ღრომბა“ გამოდის იმავე პარაზარამითა, როგორითაც წინანდელ წლებში გამოდიოდა. —

ხ ე ლ - მ ო ს ა წ ი რ ი ფ ა ს ი:

	ზაუგზაენელათ.	ზაგზაენით
	მან. კაბ.	მან. კაბ.
მართის წლისა მთილისში და აგრეთვე გარეშე ადგილებში	6	7
ნახევარის წლისა.	3	5
სამის თვისა	2	2
მართის თვისა	"	75
		1

ხ ე ლ ი ს მ ო ჟ ე რ ა

შიდილება მთილისში „ღრომბის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლში.

თბილისის გარეშე მცხოვრებთა შეუძლიანთ ამ აღრესით დაიბარონ ვაზეთი: Въ Типлнсь. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“, при типографіи Мелникова и К-0. **ჭუთაისში** ხელის მოწერა შიდილება ლ. ლ ო ლ უ ა ს თ ა ნ და დ. ა ბ დ ლ უ შ ე ლ ი შ ე ი ლ თ ა ნ, პოლიციის ქუჩაზე მ. პალიევის სახლში.

შპორჩილესად ეთხოვთ გაზეთის ხელის-მოაწეროლებს—დაბარებისა თანავე გამოგზავნონ რედაქციაში გაზეთის ფასი და კარგათ დაწერილი თაგანთი აღრესთი.

ზ ი ბ ლ ი ო გ რ ა ვ ი უ ლ ი გ ა ნ ს ხ ა ლ ე ბ ა .

ს ი ბ ლ ი ო გ რ ა ვ ი უ ლ ი

თქმულნი ზაბრიელ ეპისკოპოსის მიერ,

ამ თვის გასულს გამოვლენ ბეჭდვადან მ ე ო რ ე გ ა მ ო ო ც ე მ ი თ, რომელიც არის შეესებული 75 ახალი ქაღაჭებითა.

გ ა ნ ს ხ ა ლ ე ბ ა

ჭუთაისის გუბერნიის სტამბა განაცხადებს, რომ „სბორნიკი“ მთავრობის ნებართვით 1870 წ. გამოვა უწინდელისაგებ. შიქრობენ ამ „სბორნიკში“ ჩაუმატონ არა-ოფიციალური ნაწილი, სადაც დაიბეჭდება თხზულებანი ადგილობრივი ისტორიული, თემთ-აღწერილობითი გეოგრაფიული და სხვ.; ამავე ნაწილში დაიბეჭდება სხვა და სხვა თხზულებანი, რომელთაც აქეთ საყოველთაოვ ინტერესი, მთავრობის დაწესებულებათა და პირთა, ყოველ გვარის ცნობანი, რომელნიც განარჩევენ ადგილობრივს საზოგადოების შესახებ საქმეთა ამავე „სბორნიკში“ დაიბეჭდება კერძობით ამებში, რომელნიც იქნებათ გუბერნიის მცხერებთათვის რითიმე საინტერესონი.

ჯ ა წ ა წ ი ნ ა ქ ა ლ მ დ ა რ ი .

გამოვიდა და ისყიდება სამ კაპეკით: **ტვილისში** მელიქოვის სტამბაში, მწფო ჯიანცის საწიფნე მალაზიაში, ალადათოვის სწიფნე მალაზიაში.

**ჭუთაისში** — გუბერნიის სტამბაში, გერასიმ ძალანდარიშვილთან სასულიერო სასწაფელ ბელში.

**ოცურგათს** — ზიორაგი წულუკიძესთან, მროვის პოსრედნიკთან 1-ლი განყოფილების

**ჯუზღიდს** — სამსონ ლევანის ძეს შარავში ძესთან.